

1)

პოლონეთში გატარებული დრო ჩემთვის დაუვიწყარია. შევხვდი უამრავი ერის წარმომადგენლებს, შევიძინე ბევრი ახალი მეგობარი, მივიღე უზარმაზარი გამოცდილება და რაც მთავარია, განვახორციელე და დავხვეწე ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც დამეხმარება ადგილი დავიმკვიდრო, როგორც საქმიან, ასევე პირად ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდი ეფექტი იქონია ჩემზე სტუდენტურმა ცხოვრებამ. ვარშავაში ყოველი დღე თავგადასავალია, რომელიც გეხმარება შენში აღმოაჩინო ახალი ღირებულებები და მეტი შემართებით შეუდგე ცხოვრების განახლებულ გზას.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელს თუ სტუდენტს, რომელიც დამეხმარა მიზნის მიღწევაში. განსაკუთრებით დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ბატონ მამუკა თავხელიძის მიმართ, რომელიც მაქსიმალურად ორიენტირებულია ხელი შეუწყოს სტუდენტებს მიიღონ უმაღლეს და ხარისხიან განათლებასთან ერთად, განუმეორებელი ცხოვრებისეული გამოცდილება.

ალექსი ღუდუშაური

The time spent in Poland in an unforgettable experience in my life. I met with people of different nations, acquired a lot of friends, gained huge experience and improved such skills that will help me better build my career. I was especially impressed by the students' life. Every day in Warsaw is an adventure which helps a person discover new values and start a new way with new enthusiasm.

I would like to thank every staff member and every student of Grigol Robakidze University who helped me to achieve my goal. Especially I'd like to express my gratitude to Mr. Mamuka Tavkheldze who strives to help students not only obtain high quality education but also gain unique life experience.

Aleski Gudushauri

2)

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ საკმაოდ დიდი ხანი ვგეგმავდი ამ პროექტში მონაწილეობის მიღებას და აქ მოხვედრა ჩემთვის ძალიან ღირებული იყო.

პოლონეთი ძალიან მომეწონა. გარდა უნივერსიტეტისა, შემიძლია ვთქვა რომ ყველაზე მეტად რაც კი მომეწონა, მაღალ დონეზე არის დაცული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე

ადამიანების უფლებები და მაქსიმალურად ცდილობს სახელმწიფო ხელი შეუწყოს მათ საზოგადოებაში ინტეგრირებას. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ დაცულია ცხოველთა უფლებებიც. ვარშავაში არის ძალიან ბევრი რეკრეაციული ზონები, რაც ქალაქს როგორც სილამაზით, ასევე სუფთა ჰაერითაც გამოარჩევს.

პროექტის განმავლობაში ძალიან ბევრი ვიმოგზაურე.

რაც შეეხება უნივერსიტეტს, საუნივერსიტეტო კამპუსი არის თანამედროვე, კეთილმოწყობილი და სტუდენტების კომფორტზე მორგებული. განსაკუთრებით მომეწონა საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა.

ამ პროექტმა მომცა დიდი გამოცდილება, საშუალება იმისა რომ მეცხოვრა, მესწავლა და მემოგზაურა შუაგულ ევროპაში. შესაძლოა სამომავლოდ ისევ დავუბრუნდე ლაზარსკის უნივერსიტეტს.

სოფიკო ბოლაშვილი

First of all I'd like to mention that I had been planning to participate in this project for a long time.

I liked Poland very much. Besides the University, what I liked very much is the fact that the rights of the disabled are highly protected. The government does its best to integrate them into the society. I'd like mention that animals' rights are also protected. There are a lot of recreation zones in Warsaw which distinguish the city for both – beauty and fresh air.

I travelled a lot during the mobility period.

As for the University, its campus is modern, well-equipped and oriented to students' comfort. I especially liked the library.

The project gave me the opportunity to gain a great experience, to live, study and travel in the heart of Europe. Maybe, in future I'll return to Lazarski University.

Sopiko Bolashvili

3)

ვარშავაში ჩასვლისთანავე მივხვდი, რომ მოვხვდი სრულიად ახალ სამყაროში. ყველაფერი ძალიან საინტერესო და მიმზიდველი იყო; ხალხი - ძალიან სტუმართმოყვარე. ყველა დასაქმებულია ასაკის მიუხედავად; მთავარია კვალიფიკაცია.

გამოცდილება არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა ადამიანმა შეცვალოს თავისი ცხოვრება და შესაძლებლობები. 5 თვის განმავლობაში შევიძინე ბრწყინვალე გამოცდილება, გავხდი უფრო დამოუკიდებელი და მოტივირებული. უკვე მაქვს ჩამოყალიბებული მიზნები: გავხდე წარმატებული იურისტი და შევქმნა ფონდი, რომელიც ხალხს დაეხმარება ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარებაში. ერაზმუს+ პროგრამა დამეხმარა ჩამომეყალიბებინა ხედვა ჩემი მომავალი კარიერის შესახებ.

პოლონეთში თავდაპირველად გამიჭირდა - მენატრებოდა ჩემი ქვეყანა და ჩემი ოჯახი. ახლა კი, მენატრება ვარშავა, მისი ქუჩები, ხალხი, უნივერსტეტი. მენატრება ჩემი ქართველი მეგობრები, რომლებიც მხარში მიდგნენ მთელი 5 თვის განმავლობაში. ერაზმუს+ პროგრამის დამარებით შევიძინე არა მარტო ახალი ცოდნა, არამედ გავხდი უფრო ორგანიზებული, ვისწავლე მიზნების დასახვა და მათი მიღწევა.

საბოლოოდ, მინდა აღვნიშნო, რომ ეს პერიოდი მემახსოვრება, როგორც პირველი მნიშვნელოვანი „თავგადასავალი“ ჩემს ცხოვრებაში.

თათია კერვალიშვილი

Generally, impression is the main passion for every person and for me, the first impression when I came to Warsaw was controversial. I met new cultural environment, architecture and university. It was the unusually new universe. However, everything was very attractive and interesting. People were hospitable. I also liked the fact that people are employed here with no regard to their age. The only thing that really matters is qualification

Experience is perfect chance to change your life and abilities. I gained really breathtaking experience during these 5 months because I became more independent and motivated. Now I have goals: first is to become a successful lawyer and the second desire is to create foundation which help people to remedy their healthy problem. Erasmus + helped me to form vision of how my future career will look like what I definitely want. I think that this program is a perfect opportunity to challenge yourself and to take new responsibilities.

First time everything was really difficult for me because I missed my home country and my family. Now my passion is also strange and different, and the reality is that I miss Warsaw, its streets, dormitory, people, shopping centers, etc. I miss my Georgian friends who supported me in this adventure. We lived together for 5 month and I think that it isn't a small time. Due to the Erasmus + program, I became more mature. I gained not only amazing academic knowledge, but also learned how to organize myself, how to set goals and achieve them. Finally, I will remember it as the first significant adventure in my life.

Tatia Kervalishvili